

## ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭო სემინარს გამართავს

A<sup>+</sup> A<sup>-</sup>



17 დეკემბერი / 2014

ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭო (EUGBC) დღეს სემინარს გამართავს, თემაზე "ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების/DCFTA-ს პერსპექტივები – სატარიფო და არასატარიფო ბარიერები ევროკავშირთან ვაჭრობაში".

სემინარი 11:00 – 14:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება. მის ფარგლებში ასევე შედგება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ მომზადებული პუბლიკაციის "ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში" პრეზენტაცია, რომლის ავტორებიც არიან ექსპერტები კახა გოგოლაშვილი და ნინო ჩოხელი.

გარდა ამისა, ექსპერტი სოფიო ფანჯიკიძე გამართავს პრეზენტაციას ინტელექტუალური საკითხების უფლებების დარგში თემაზე "ინტელექტუალური საკითხების უფლებებთან დაკავშირებული სტანდარტები DCFTA-ს მიხედვით". "სემინარი მიზნად ისახავს, ქართველ მეწარმეებს მიაწოდოს ინფორმაცია ევროკავშირთან ვაჭრობის ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორცაა: სატარიფო ბარიერები; ურთიერთალიარების შეთანხმება; ტექნიკური ბარიერები საერთაშორისო ვაჭრობაში: მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (WTO) ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმება; ევროკავშირის მოთხოვნები და საქართველოსათვის მათი მნიშვნელობა", - აცხადებენ სემინარის ორგანიზატორები.

სემინარს დაესწრებიან ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) გენერალური მდივანი ზვიად ჭუმბურიძე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძე, მისი მოადგილე მარიკა რაქვიაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იანოშ ჰერმანი.

თემები : [ტარიფი სემინარი ვაჭრობა ევროკავშირი ბარიერი DCFTA](#)